თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 11

31 ოქტომბერი 2023 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 34 დეპუტატი :

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თენგიზი მთვარელიშვილი;

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მამუკა ბურდიაშვილი;

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ალექსანდრე შათირიშვილი;

მიხეილ დაღუნდარიძე;

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ლილუაშვილი;

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი;

საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხაჭაპურიძე;

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თინათინ ხანჯალიაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე დავით ღაღანიძე;

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე ზაადურ რევაზიშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილეები: ზურაბ მოსახლიშვილი, ზაზა ტატულიშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, ზურაბ მუსაევი, ოთარი ესიტაშვილი, თამარ ხატიაშვილი.

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილეები: გიგი გიგიტელაშვილი, გელა ჭვრიტიძე, ეთერი გურგენაშვილი.

საკრებულოს წევრები: ივანე კირვალიძე, ნიკოლოზ მაისურაძე, ეკატერინე ონიკაძე, გიორგი ქართლელიშვილი, მარიამ ლილუაშვილი, ალექსი ძულიაშვილი, ზაალ გულიაშვილი, ნინო ომანიძე, იმედა კევლიშვილი, ივანე დალაქიშვილი, ნატალია ბახსოლიანი, მერი მაისურაძე, რუსუდანი იმერლიშვილი, ალექსანდრე კუპატაძე, გელა ესიტაშვილი, (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ნიკოლოზ მეტრეველი;

თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ფიქრია ყუშიტაშვილი;

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ნათია ვაყელიშვილი;

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი მაია დათუნაშვილი;

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი გიორგი ენუქიძე;

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურის და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი დანიბეგაშვილი;

ა.(ა) ი.პ. თელავის მუნიციპალიტეტის „კულტურის ცენტრი“ დირექტორი ზაქარია რაზმაძე;

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე;

საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები;

მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები.

მოქალაქეები: ლალი კბილაშვილი, არჩილ მჭედლიშვილი, მაკა მოსიაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი.

<u>დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხს.ნ.მეტრეველი<br>
თანამომხს. ნ.ვაყელიშვილი<br>
15.00სთ-დან - 15.20სთ-მდე

2. „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ;

მომხს.ნ.ვაყელიშვილი
15.20სთ-დან - 15.30სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 სექტემბრის N43 დადგენილების „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეოგრაფიული ობიექტების სახელდებისა და ქუჩების, მოედნების, გამზირების, შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებისა და ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხს. ტ. გალახვარიძე
15.30სთ-დან 15.40 სთ-მდე

წარმოდგენილი სახით დღის წესრგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

<u>1.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხს.ნ.მეტრეველი
თანამომხს. ნ.ვაყელიშვილი
15.00სთ-დან - 15.20სთ-მდე

ნ.ვაყელიშვილმა წარმოდგენილ პროექტთან დამატებითი სახით წარმოადგინა 17 409 ლარის გათვალისწინება სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოების საზედემხედველო მომსახურებისათვის.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> ა.ძულიაშვილმა აღნიშნა, რომ გასულ წლებში საკმაოდ დიდი თანხები იხარჯებოდა საახალწლო ღონისძიებებზე და არანაირ საჭიროებას არ წარმოადგენს ახალი ნაძვის ხის და განათებების შესყიდვა. .

**ზ.რევაზიშვილმა** აღნიშნა, რომ იმ სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელშიც არის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, საახალწლო ღონისძიებებზე, ნაძვის ხეზე და განათებებზე და სათამაშოებზე ამ რაოდენობის თანხები არ უნდა იხარჯებოდეს.

სავალალო მდგომარეობაა ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართულებით, მუნიციპალიტეტი ვერ ახორციელებს ელემენტარულ სამუშაოებს, ხშირ შემთხვევაში საფრთხე ექმნება მოსახლეობას, ამ დროს კი ნაძვის ხის შესყიდვაზე უნდა დაიხარჯოს თანხა.

მაგალითად კავკასიონის ქ. N45გ არის ავარიულ მდგომარეობაში, არსებობს ექსპერტიზის დასკვნა, რომ სახიფათოა, მუნიციპალიტეტი კი არანაირ ღონისძიებებს არ ახორციელებს.

**გ.გიგიტელაშვილმა** ისაუბრა წინა წლებში საახალწლო ღონისძიებებში გაწეულ ხარჯებზე და აღნიშნა, რომ ყოველწლიურად დიდი თანხების დახარჯვა საახალწლო ღონისძიებებზე და ნაძვის ხეებზე არ არის მიზანშეწონილი, რადგან უამრავი ინფრასტრუქტურული და სხვა სახის პრობლემა დგას მუნიციპალიტეტის წინაშე, გადათხრილია ქუჩები, არის სხვადასხვა სოციალური პრობლემები, რომლებიც მოითხოვენ დროულ რეაგირებას, მაგრამ დღეისათვის ცნობილია ის კომპანიაც, რომელიც გაიმარჯვებს ნაძვის ხის შესასყიდად გამოცხადებულ ტენდერში.

**ი.კევლიშვილმა** აღნიშნა, რომ განვითარებული ქვეყნების დედაქალაქები არ ხარჯავენ საახალწლოდ იმდენ თანხებს, რასაც თელავი, იმ ფონზე, როცა მაგალითად სოფელ წინანდალში ერთი კვადრატული მეტრი ასფალტი არ დაგებულა, საუბნო გზებზე საერთოდ არ არის საუბარი.

**ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრების** მიერ მერის პირველი მოადგილის მიმართ დასმული იქნა კონკრეტული შეკითხვები სხვადასხვა საკითხებზე, რაზეც **ნ.მეტრეველის** მიერ გაკეთდა შესაბამისი განმარტებები.

**ლ.კოჭლოშვილმა** გამოთქვა მზადყოფნა, როგორც ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე საკრებულოს ოპოზიციურ წევრებთან ერთად ადგილზე მოახდინოს პრობლემატური საკითხების შესწავლა და სამომავლო გეგმების შემუშავება.

**ზ.რევაზიშვილმა** აღნიშნა, რომ ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" არცერთი წევრი არ დაუჭერს მხარს წარმოდგენილ პროექტს.

<u>დაადგინეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **22( ოცდაორი)** წევრმა.

**წინააღმდეგი: 08(რვა) წევრი** - ზ.რევაზიშვილი, მ.მაისურაძე, ზ.გულიაშვილი, ე.გურგენაშვილი, ნ.ბახსოლიანი, რ.იმერლიშვილი, ი.დალაქიშვილი, ა.კუპატაძე.

**კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 04 (ოთხი) წევრმა:** გ.ჭვრიტიძემ, ი.კევლიშვილმა, ა.ძულიაშვილმა, გ.ესიტაშვილმა.

<u>2.მოისმინეს:</u> „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე" - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ;

მომხს.ნ.ვაყელიშვილი
15.20სთ-დან - 15.30სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **27 ( ოცდაშვიდი)** წევრმა.

**კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 07 (შვიდი) წევრმა:** ნ.ბახსოლიანმა, ზ.გულიაშვილმა, ი.დალაქიშვილმა, ა.კუპატაძემ, გ.ჭვრიტიძემ, ი.კევლიშვილმა, ა.ძულიაშვილმა.

3.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 სექტემბრის N43 დადგენილების „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეოგრაფიული ობიექტების სახელდებისა და ქუჩების, მოედნების, გამზირების, შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებისა და ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 31 ( ოცდათერთმეტი) წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 01 (ერთი) წევრმა: ა.კუპატაძემ, გ.ჭერიტიძემ, ი.დალაქიშვილმა.

მოქალაქე ა. მჭედლიშვილმა ისაუბრა იმის თაობაზე, რომ მერიამ უნდა უზრუნველყოს თამარის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის დაჩქარება.

საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზი მთვარელიშვილი